ხელშეკრულება №67

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის - გენადი ბალანჩივაძის სახით და მეორე მხრივ, ი.მ. „გიორგი ქავთარაძე“ (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი - გიორგი ქავთარაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ”ს[1]” ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ”გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“)-შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება“-საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3.„დღე“, „კვირა“, „თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4.„შემსყიდველი“-ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5.„მიმწოდებელი“-პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის 1 (ერთი) ერთეული პერსონალური კომპიუტერის შეკეთების მომსახურების შესყიდვა (დანართი N1-ის შესაბამისად).

2.2.კლასიფიკატორის კოდი: CPV50300000.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - 70 (სამოცდაათი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.3.დაფინანსების წყარო - 100% ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3„ანგარიშსწორება იწარმოებს საქათველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N619 განკარგულების შესაბამისად.“

5. გარანტია

5.1.„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიაწოდებს მომსახურებას არსებული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1.მოსახურება ჩაითვლება მიწოდებულად, მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების გაფორმების უფლბამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს - **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსს, ან მისი მოვალეობის შემსრულებელს.**

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1.მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25.

7.2.მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2023 წლის 25 მარტის ჩათვლით პერიოდში.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისშესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.2.შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4.მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
10.2.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი (გასაწევი) მომსახურების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
10.3.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
10.4.იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.5.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
11.4.მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
11.5.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არაასებობის შესახებ

13.1.„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 221274546
მუნიციპალიტეტის მერი
გენადი ბალანჩივაძე

Genadi Balanchivadze

Подписано цифровой подписью: Genadi Balanchivadze
Дата: 2023.03.17 00:10:26 +04'00'

მიმწოდებელი:
ი.მ. „გიორგი ქავთარაძე“
მის: ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქუჩა N4ა/18
ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა №GE57TB7300436010100003
ს/კოდი: 60001076645
ი.მ. „გიორგი ქავთარაძე“
გიორგი ქავთარაძე

Giorgi Kavtaradze 60001076645

Digitally signed by Giorgi Kavtaradze
Date: 2023.03.17 10:03:07

დანართი N1

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი)	საერთო ღირებულება დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი)
1	პერსონალური კომპიუტერის შეკეთება	1	70	70
სულ ჯამი დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი):				**70** ლარი

ი.მ. „გიორგი ქავთარაძე“
გიორგი ქავთარაძე